32. პრეზენტაციაში შაბლონების გამოყენება

შენ უკვე შეისწავლე ტექსტური რედაქტორში შაბლონების გამოყენება. საპრეზენტაციო პროგრამაშიც შეგიძლია მზა შაბლონებით ისარგებლო.

ამჯერად პროგრამა **PowerPoint**-ში შაბლონის გამოყენებით პოსტერის შექმნას ისწავლი. პოსტერი შეიცავს როგორც ტექსტურ, ასევე გრაფიკულ ინფორმაციას. მისი მიზანია საზოგადოების ინფორმირება, მაგალითად, გარკვეული პროდუქციის, მომსახურების ან განხორციელებული პროექტისა თუ კვლევის შესახებ.

პოსტერის სტანდარტული ფორმატია: **A2**, **A3** და **A4.**

პოსტერის შექმნა

როდესაც ახალ პრეზენტაციას ირჩევ, ცარიელი პრეზენტაციის გვერდით სხვადასხვა შაბლონს ხედავ. პოსტერის შაბლონის მოსაძებნად ველში **შაბლონებისა და თემების ინტერნეტში ძიება (Search for online templates and themes)** ჩაწერე **poster** და დააჭირე ძიების ღილაკს.

გამოჩნდება პოსტერის შაბლონები.



აირჩიე ერთ-ერთი შაბლონი და დააწკაპუნე ღილაკს **შექმნა (Create)**.



ეკრანზე გაიხსნება სლაიდი, რომელშიც შეგიძლია ჩაწერო ტექსტი, შეცვალო სურათი, დიაგრამა. ეს შაბლონი დაგეხმარება სწრაფად და მარტივად შექმნა გაფორმებული პოსტერი.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე

შექმნილი პოსტერი შეინახე გრაფიკულ ფორმატში. ამისათვის:

- აირჩიე **ფაილი** ჩანართის **შენახვა** ბრძანება;
- მაუსის ღილაკზე ორჯერ დაწკაპუნებით აირჩიე ბრძანება – **ეს კომპიუტერი**;
- მოიფიქრე პოსტერის სახელი, და ჩაწერე ველში **ფაილის სახელი**;

  ველიდან **ფაილის ტიპი** შეარჩიე გრაფიკული ფორმატი მაგალითად: **.tiff;**
- დააჭირე ღილაკს **შენახვა**;
- გამოსულ ფანჯარაში რომელი ფაილების ექსპორტირება გსურს აირჩიე ღილაკი **მხოლოდ ეს**;





- შენი შექმნილი პოსტერი შეინახება გრაფიკულ ფორმატში.

ივარჯიშე!

კომპლექსური დავალება: მოიძიე ინფორმაცია გლობალური დათბობის შესახებ და მოამზადე ქვემოთ მოცემული ნიმუშის მსგავსი საინფორმაციო პოსტერი. გამოიყენე პროგრამა **Powerpoint**-ის შაბლონები.



პროექტი: „ჩემი ელექტრონული წიგნი“.

პროგრამა **Powerpoint**-ში შექმენი ელექტრონული წიგნი.

© ნინო მარღიშვილი, ზაქარია ქარსაულიძე, თამარ ლოსაბერიძე